ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6608135

ნომერი: AR1981858

თარიღი : 01.08.2023

გაცემის თარიღი : 10.08.2023

გაცნობის თარიღი : 11.08.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ასმათის ქუჩა , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 01 აგვისტოს №AR1981858 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5276657 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5276657 ბრძანებით №01.72.14.035.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 4 თებერვლიდან 2021 წლის 4 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5276657 ბრძანებით შეთანხმებული +16.320 ნიშნულის გეგმაზე ბინა №36 და ბინა №37 საცხოვრებელი და საერთო ფართობები არასწორადაა მითითებული, შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ამავე ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას.

სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი +16.320 ნიშნულის გეგმაზე ბინა №36 და ბინა №37 გეგმარება იცვლება, რაც იწვევს აღნიშნული ბინების ფართობების ცვლილებასაც. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ბინა №36-ის და ბინა №37-ის საცხოვრებელი და საერთო ფართობები შეესაბამება ამავე ბინების ექსპლიკაციაზე მითითებულ ფართობებს, შესაბამისად, სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5276657 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაში ამ კუთხით ხარვეზი არ ფიქსირდება და სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.